№ 216 ოქტომბერი 11, პარასკევი 1891 ოქტომბერი 11, პარასკევი № 216

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

1877—1891 სამპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აფშილის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი რვა [illegible]

სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის და მუდმივის საწოლებით ქ. ქუთაისში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათის საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე. შინაგანისა და საყმაწვილო სენით ავადმყოფებს არჩენს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა, ვენერიულისა და სიფილისის სენით ავადმყოფებს—ს. ბ. ვოინო. საბებიო და ქალის ავადმყოფობით ავადმყოფებს—ექიმი ქალი მ. ფ. კაღანი. თვალებით ავადმყოფებს მიიღებენ დილის თერთმეტის საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელ-მძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულს ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმთაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი. დაზელვისა (მასაჟის), აგრეთვე საავათმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება. გადამდების ავადმყოფობით სნეულებს საავათმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

გარედგან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნოემბრამდე ბოკერიას სახლში, ბულვრის პირდაპირ, და მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იქმნება ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში, ხოლო პრველ ნოემბერიდან გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივ საწოლიანი სამკურნალო იქმნება თოფურიას საკუთარს სახლში, გაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი—ს ბ. თოფურია

(10—2)

ახალი ამბავი

*** დღემდე ტფილისის სახელოსნო სკოლის ხარჯების საქმე მარტო განსაკუთრებით სკოლის დირექტორს ჰქონდა ჩაბარებული. ახლა, ქალაქის სამოსწავლო კომიტეტის გარდაწყვეტილების ძალით, შემდგარა ცალკე კომიტეტი, რომელშიაც იქმნება წევრად არჩეული სამი მასწავლებელი, დირექტორი და ინსპექტორი სკოლისა და ამ ხუთს ებარება ყოველისავე ხარჯისა და შემოსავლის საქმე სკოლაში.

*** ჩვენს ქალაქს სექტემბრის განმავლობაში ჰქონია შემოსავალი 43,720 მან. 37 კაპ., ხოლო 1-ლ იანვრიდამ 1 ოქტომბრამდე 549,087 მან. 52 კაპ. ხარჯი ჰქონია ენკენისთვის განმავლობაში 36,727 მან. 19 კაპ. ხოლო 1 იანვრიდამ 1 ოქტომბრამდე 500,025 მან. 31 კაპ.

*** ზუგდიდს და ახალ-სენაკს შუა გზა უზომოდ გაფუჭებულია, ამდენს ოღრო-ჩოღროებს, ტლაპოებს და მრავალს უსიამოვნებას იმის გამო ჯერ არასოდეს არ მოვსწრებივართ. ეტლში მსხდომნი მგზავრნი ისეთ ნაირად ეჯახებიან ერთი-ერთმანეთს, რომ გვერდები ელეწებათ. ხიდები და ბოგირები სულ ერთიანად გაფუჭებულია და მდინარეებისა: ცივის, ხობის წყლისა და მუნჩიის ხიდები ხომ რა ხანია აღარაფრად არის გამოსაყენებელი ტ ავდარის დროს მისვლა-მოსვლა შეჩერებულია. ურიგო არ იქნება, ვისიც ჯერ არს, ამ შემოდგომაზედვე ყურადღება მიაქციოს, თორემ ზამთარში მისვლა-მოსვლა სულ ერთიან შესწყდება.

*** სიღნაღი: აქეთ განუწყვეტელი წვიმებია და დიდად უშლის ხელს სთველსა. ყურძენიც ამის გამო კარგად ვერ დამწიფდა. წვიმების გამო მინდვრები კვლავ ამწვანდა და ბალახი საკმაოდ არის. ყმაწვილების ავადმყოფობა ბევრი იყო ზაფხულში და ეხლაც არ მოსპობილა. ერთად-ერთს სამხედრო აფთიაქში წამლები საკმაოდ ძვირია. მკურნალებია კიდევ-და, ხელმოკლე კაცისთვის ძალიან ძნელი მოსახერხებელია მათი მიწვევა ავადმყოფის საშველად, რადგან ძვირადა ჯდება მათი ვიზიტები. სოფ. ველისციხეში არის ავადმყოფთა მოსასვენებელი სადგური მკურნალითურთ, მაგრამ ეს სოფელი ჩვენის მაზრის განაპირას არის და ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ ეს სადგურიცა და მისი ზედამხედველი მკურნალიც სადმე შუა-გულს ადგილს დაემკვიდრებინათ.

სამაზრო ადმინისტრაცია დიდად ზრუნავს პურის მაღაზიებისათვის. გლეხკაცობას ამ წლის დამდეგ ჰქონდა 17,000 მან., ამ პურით შეძენილი, ახლა-კი 35,000 მანეთზე მეტი აქვს.

*** სამეგრელო. სამეგრელოში სიმინდის ტეხა დაიწყეს და ჩქარაც გათავდება. დარიც გვარიანად უწყობს ხელს. სიმინდის მოსვლას ძალიან ემადლიერებიან. ყურძენიც კარგი მოგვივიდოდა, ამ ბოლოს დროს რომ ქარს არ დაველუპნეთ; ისეთი ძლიერი ქარი ჰქროდა ამ თთვის პირველს რიცხვებში, ორის დღის განმავლობაში, რომ ყველაფერი მიგვილეწ-მოგვილეწა.

*** მოსკოვი: ეთნოგრაფიულ საზოგადოების აღმოსავლეთის კომისიაში წაიკითხა ამას წინად თავისი რეფერატი „როსტომიანის“ შესახებ ბ-ნმა ალ. ხახანაშვილმა. ბ-ნმა ხახანაშვილმავე წარუდგინა ამ დღეებში „მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას თავისი წერილი: „Грузинскій переводъ сказанія о св. Георгіѣ“.

უნდა გაცნობოთ აგრეთვე ერთი სასიამოვნო ამბავიც: აქ განზრახვა აქვთ, ითხოვონ ნება-რთვა და, თუ მთავრობის-მიერ დაბრკოლება არა იქნება-რა, დააარსონ ქართული ყოველ-თვიური სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი. ამ საქმის მეთაურნი ჰგონებენ, რომ ასეთი ჟურნალი უსარგებლო არ უნდა იყოს საქართველოსათვის, სადაც ამ ჟამად არ არსებობს არც ერთი ყოველ-თვიური გამოცემაო. ვისურვებთ, რომ ეს საქმე განზრახვად არ დარჩეს და მალეც განხორციელდეს.

*** ბათუმი: კვირას, 6 ოქტომბერს, გამართული იყო აქ ჰიდაობა. იჰიდავა სხვათა შორის ლილოელმა თ. ავ—მა და ბათუმის ვაჭარმა ბეკაიამ. ჯილდოდ გამარჯვებულისათვის დანიშნული იყო ათი თუმანი. შემოსავლის ათის თავი გადადებული იყო „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“. გაიმარჯვა ლილოელმა და ჯილდოც იმან მიიღო. შემოსავლის ათის თავი შესდგა 20 მან., რომელიც გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

შემდეგი ჰიდაობა დანიშნულია 13 ოქტომბერს. ათის თავი გადაიდება ქობულეთში სკოლის დაარსების სასარგებლოდ. შემდეგს კვირას, ჰიდაობას მართავს ბ-ნი ნ. ესებუა და აპირობს, ნახევარი შემოსავლისა გადასდოს ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ.

◆◆

ენა-ბრგვილობის ექიმობა პროფესორ ბერკანის ახლად აღმოჩენილის მეთოდით.

პროფესორ ბ-ნ ბერკანის საექიმო მეთოდი საფრანგეთის შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრებისაგან მიღებულია და დაჯილდოებული. ექიმობა, რომელსაც პროფესორი უნდება 20—30 დღემდის, დაფუძნებულია მხოლოდ სისტემატიურს ენის ვარჯიშობაზე, მაშასადამე აღარ უნდება არც წამლები, არც აპერაცია და ისეთი უბრალო და ადვილია, რომ როგორც ბავშვისა, ისე ჴანშესულებისათვისაც გამოსადეგია. ბ-ნს პროფესორს უკვე დაუარსებია მარსელში ხსენებულის სენის სამკურნალო ინსტიტუტი და შემდეგ დაუწყია ექიმობა რუსეთში, საიდგანაც დიდი ქება იწერებოდა სხვა-და-სხვა გაზეთებში პროფესორის ექიმობის შესახებ. დღეს ეს კაცი ჩვენს ქალაქში ჩამოსულა თავის საექიმო მეთოდის გასავრცელებლად. ჩვენ გვქონდა შემთხვევა ბ-ნ პროფესორის გაცნობისა და შევიტყეთ, რომ იმას თავ და პირველად თავისს თავისთვის უექიმნია, რადგან თვითონ ისეთი ენა ბრგვილი ყოფილა, რომ სრულიად ენა-დაბმული ყოფილა, ახლა-კი თავისუფლად ლაპარაკობს. პროფესორი ტფილისში ორ თთვემდის დარჩება

ფელეტონი

ბაგირთ მგრეხლის ქალი

(ისტორიული მოთხრობა ფელიქს ლილლიასი)

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 215)

დიდი ალიაქოთი მოახდინა საწყალ თოკის დამგრეხის სახლში ხილიაირის დატუსაღების ამბავმა. არავინ არ იცოდა, თუ რა მიზეზის გამო დაეჭირათ. მოხუცებული დიუვალი პოლიციაში წავიდა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეიტყო. ბოლოს მოინდომა მიზეზის შეტყობა და გაანჩხლებულის ხმით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ვერას გახდა, პირ-იქით, კინაღამ კისრის კვრით არ გამოაგდეს საცოდავი.

ეს ბოროტ-მოქმედება ფრონზაკს-კი არ აწუხებდა.

ის სულ იმის ფიქრში იყო, როგორ შევისრულო სურვილიო. მარიანა-კი ყურს არ უგდებდა ფრონზაკის სიყვარულს და ძმის დატუსაღებას ნაღვლობდა. ამ მწუხარებას ისიც ზედ დაერთო, რომ წერილი მოუვიდა საქმროსაგან, არ დამითხოვეს წამოსასვლელადაო. მარიანა დაფიქრებული და გამწარებული შეიქმნა ამ ორ გვარის მწუხარებით. დედ-მამა ბევრს არიგებდნენ გამოუცდელს ყმაწვილს ქალს, მაგრამ ამაოდ, იგი მაინც ყოველ დღე დაღონებული და თვალ-ცრემლიანი იყო.

როდესაც ნახა საეჭვო სტუდენტმა, რომ ეს საქმე ცუდად ბოლოვდება და ვერას გავხდიო, ახლა სხვა ხერხს მიჰმართა.

მრიანას გზაში შეხვდა და გამოუცხადა, რომ მართლა უბრალო სტუდენტი ლეონარდი-კი არა ვარ, ჰერცოგი დე-ფრონზაკი ვარ და კანონიერ ცოლად მინდა შეგირთოო.

შეშინებული მარიანა გაიქცა და ეს ახალი ამბავი მამას შეატყობინა.

მოხუცებული დიუვალი იმ საათშივე მივიდა ჰერცოგთან, თავაზიანად სალამი მისცა და სთხოვა, რომ მისს ოთახში მიბძანებულიყო.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მოახსენა თოკის დამგრეხმა: დიდად მადლობელი ვარ, რომ ჩემის მარიანას შერთვა გსურთ, მაგრამ ვერ მოგთხოვდებათ, რადგანაც სხვაზედ არის დანიშნული. ამისათვის თქვენი აქ ყოფნა არად სასიამოვნოა და გთხოვთ, დღესვე დამიცალოთ ოთახები.

— ხელ-შეკრულობის ვადა რომ ჯერ არ გასულა.

— მართალია, მაგრამ, რაც ფული გეკუთვნებათ, ისევ მიიღეთ!

ჰერცოგმა ფულის უკან აღება არ ინება და მოხუცებულმა დიუვალმა ხმის კანკალით შესძახა:

— მოწყალეო ხელმწიფევ! მე დღეს სახლის პატრონი ვარ და იმ ზომამდე ნუ მიმიყვანთ, რომ სხვა ღონისძიებას მივმართო და ის პატივისცემა დივივიწყო, რომელსაც თქვენი ხარისხი მდებს ვალად. თქვენის მეცადინეობით არის დატუსაღებული ჩემი ხილიაირი და, როგორც ეხლა მივხვდი, თქვენვე ხართ მიზეზი, რომ ჩემი სასიძო არ დაუთხოვნიათ.

— დიაღ! წამოიძახა ერთბაშად ფრონზაკმა: მე ვარ დამნაშავე და კიდევ ბევრს ცუდს საქმეს დაგმართებთ, თუ...

— კმარა, თქვენო ბრწყინვალებავ! სთხოვა აღელვებულმა დიუვალმა: ჩვენ არ გვეშინიან თქვენის მუქარისა. ბოროტის განზრახვით შემოგვეპარეთ სახლში, გული გაგიღეთ და მერე ჩვენი ერთგულება და სიყვარული დიდის უმადურობით გადაგვიხადეთ. თქვენს საქციელს პარიჟის პარლამენტს ვაცნობებ და, თუ საჭიროება მოითხოვს, თვითონ ხელმწიფესაც გავაგებინებ.

ჰერცოგმა სიცილით უპასუხა:

— საჩივრით ვერაფერს გახდებით...

— რაც იქნება, ვნახავთ, მხოლოდ დაცალეთ-კი ეხლავე ჩემი სახლი.

ჰერცოგს არა ჰსურდა, მაგრამ უნდა გადასულიყო დიუვალის სახლიდგან. გაჯავრებული ფრონზაკი ამბობდა: „ასეთს ოინს ვუზამ ამ დაწყევლილს ბუდეს, რომ მთელმა პარიჟმა ილაპარაკოსო“.

საწყალმა დიუვალმა გაიგონა ეს დამუქრება და საშინლად დაღონდა.

მოხუცებული დიუვალი მაშინვე წავიდა გენერალ გრაფ-ლიამოტგუნდაკურთან, რომელიც იმ ჟამად სატახტო ქალაქში იმყოფებოდა და უამბო თავისი უბედურება და შემწეობა და დარიგება სთხოვა.

გულ-კეთილი და წარჩინებული გრაფი კარგად იცნობდა დიუვალს, როდესაც ის იმისს პოლკში ჯარისკაცად იყო და ომიანობის დროს მამაცად ითვლებოდა, მაგრამ მოხუცებულს გენერალს ეხლა არ შეეძლო შველა, რადგან ამ ჟამად იმას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა. როდესაც დიუვალმა სთხოვა შუამავლობა ფრონზაკის და იმის მამის მარშალ რიშელიეს შუა, გრაფმა ეჭვიანად თავი დაიქნია. დარწმუნებული იყო, რომ ვერაფრით ვერ უშველიდა თოკის დამგრეხს, მაგრამ ის-კი უნდოდა, რომ აღვლებული დიუვალი დაემშვიდებინა.

გრაფი წავიდა მარშალ რიშელიესთან და შუამდგომლობა სთხოვა.

— საყვარელო გრაფო, უთხრა მარკიზმა, მე სამუდამოდ წესად მაქვს დადებული, რომ არას დროს არ გავერიო ჩემის შვილის უგუნურს საქციელში. არ მომწონს ახალგაზდა დიუვალის დატუსაღება და ვთხოვ, რომ გაანთავისუფლონ.

მოხუცებულმა გენერალმა შეატყობინა დიუვალს ეს აღთქმა და ურჩია, გულ-დადინჯებით მოეცადნა, შემდეგ რა იქნებოდა. მართლაც, რომ მოთმინების მეტი აღარაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ ხნის განმავლობაში აპირებს თავის სამკურნალო მეთოდის ჩვენებას.

◆

ქართული თეატრი

მსხვერპლი უხასიათობისა, დრამა 4 მოქმედ., გადმოკ. მ. ნასიძის მიერ.

წარსულს ოთხაშაბათს, 9 ოქტომბერს, წარმოდგენილ პიესის შესახებ თითქმის სათქმელი არა გვაქვს-რა, რადგან ეს პიესა ერთხელ უკვე წარმოადგინა ქართულმა დრამატიულმა დასმა და იმ წარმოდგენას ჩვენც უძღვენით წერილი (იხ. „ივერია", 1890 წ. № 235). პიესა, როგორც მაშინ ვსთქვით, ქართულს ენაზედ უნაკლულოდ გადმოღებულია, მხოლოდ გვარები შეუცვლია, გადმოუქართულებია გადმომღებელს, მაგრამ ეს ქართულს ხასიათს მაგდენად დიდად ვერა სდებს პიესას, რადგან პიესაში აწერილი ცხოვრება, იქ გამოყვანილნი მომქმედნი რუსთა ცხოვრების ნაყოფია და ჩვენს ნიადაგზედ, ჯერ-ჯერობით მაინც, ძნელად აღმოცენდება.

რუსულიდგან გადმომღებს ჩეხოვის პიესისას, როგორც ეტყობა, შალაშინი გაუკრავს შარშანდელს შემდეგ თავისის თარგმანისათვის, მაგრამ რუსიციზმებს ეხლაც შეხვდებით ალაგ-ალაგ, თუმცა-კი უფრო იშვიათად, მაგალითებრ, სცენიდგან მოისმის „მასში ვხედავ კარგს ადამიანს" და სხ. სასიამოვნოა, რომ გადმომღებს გაზეთის რჩევისათვის ყურადღება მიუქცევია და მის მიერ გასომხებული ბ-ნ ჩეხოვის ებრაელი ქალი ისევე გაუებრაელებია.

წარმომდგენლები თითქმის ისინივე იყვნენ, რომელთაც შარშან წარმოადგინეს, ბ-ნ გუნიას (ნიკო ჯამბარაშვილი) და ქ-ნ არლანს გარდა (ქვრივი ბაბიაშვილისა). განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ-ნი ტარიელოვისა, რომელმაც „არხეოლოგიის ნაშთის" როლი წრეულსაც ისე საუცხოოდ და ლაზათიანად ჩაატარა, როგორც შარშან. ბ-ნს აბაშიძეს (მიხეილ მახარიშვილიძეს), რომელიც მეოთხე მოქმედებაში მეჯვარედ არის, ფრაკი ჩაეცვა და ღია ჟილეტზედ თეთრის ყელსახვევის შემოკვრა-კი დაჰვიწყებოდა, ჭრელი გაეკეთებინა.

გუნიას ივანოვს აქაც იგივე თანდათანობა არ ეტყობოდა, მისი თამაშობა ხორკლიანი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას: ერთგან რომ კარგად მოუვიდოდა, მეორეგან და მესამეგან ჩაიკოჭლებდა ხოლმე. ხმას ხშირად ისე უმოკლებდა, რომ სულ არა ისმოდა-რა სავარძლის პირველ რიგებშიაც-კი. კარგს იზამდა არტისტი, რომ გრიმისათვისაც მეტი ყურადღება მიექცია. პირველ მოქმედებაში ოცის წლის ჭაბუკსა ჰგავდა ეს სულით გაქსუებული კაცი და ექიმზედაც-კი ახალგაზდა მოსჩანდა, თუმცა, პიესით, იგი ჯერ გამოუცდელ, ცხოვრებაში გამოუსვლელ, ნორჩ ჭაბუკადა სთვლის ექიმს. მეოთხე მოქმედებაში-კი დაჭაღარავებული გამოვიდა, ალბად იმიტომ თუ, რომ ამ მოქმედებაში თითონვე ამბობს, დღეს სარკეში შევიხედე და ჭაღარა დავინახეო. ჩვენის აზრით, შეიძლება ორიოდე ჭაღარა, შემდეგ გახშირებული, წინადაც ჰქონდა, მაგრამ ახალის გრძნობით ისე იყო გატაცებული, რომ ვერ ამჩნევდა და არც-კი მიუქცევია ამ გარემოებისათვის ყურადღება. ამას გარდა, არტისტი ხშირად ზურგს უბრუნებდა საზოგადოებას და ხან ისე იდგა, ხან ისე ლაპარაკობდა ხოლმე. იქნება უნებურადაც მოსდიოდა, მაგრამ არაფრად სასიამოვნოა-კი, რამდენისამე წუთის განმავლობაში არტისტის ზურგის ცქერა.

ქ-ნს არლანისას არა უჭირდა-რა, იმასაც რომ ყურადღება მიექცია გრიმისათვის. პიესაში ამბობენ, ხანში შესულები ხართ ორივენიო, და ის-კი ჩვიდმეტის წლის ყმაწვილს ქალსა ჰგავდა. ბ-ნი შათირიშვილი უფრო გიმნაზიის მოსწავლეს ემსგავსებოდა თავისის მიხვრა-მოხვრით, ვიდრე ვითომდა მაღალ-ფარდებიანის აზრებით გატაცებულს ექიმს.

დრამის შემდეგ ბ-ნ რატილის ლოტბარობით ხორომ რამდენიმე ქართული საგალობელი სთქვა და საზოგადოებასაც ისე ძლერ მოეწონა, რომ რამდენჯერმე გაამეორებინეს კიდეც.

თეატრში საზოგადოება შედარებით საკმაოდ იყო.

მანოელიძე

◆

წერილი ქუთაისიდგან

(თავად-აზნაურობის საქმეთა გამო)

7-ს ამ თვისას, აქაურს თავად-აზნაურთა დეპუტატთ საკრებულოში შეიკრიბნენ ყველა მაზრის წარმომადგენელნი, თითო მაზრიდგან 5—6 კაცი, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ მიწის ბაჟის გასაწერად მომავალის სამის წლისათვის, 1892 წლიდგან მოკიდებული 1895 წლის დამდეგამდე. მთელს გუბერნიაზე, საცა 777,256 დესეტინა სათავად-აზნაურო მამული ითვლება, გასაწერი ყოფილა 53,989 მ. და 86 კ. წლიურად. ამ წარმომადგენელთა გარდა კრებაზე დამსწრე საზოგადოებაც საკმაოდ ბევრი იყო, იმაზედ ბევრად მომეტებული, რამდენიც ამას წინად თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე დაესწრო, რომელიც მოწვეული იყო სამეურნეო სკოლისათვის თავად-აზნაურობაზე ხვედრის ხარჯის გასაწერად. ამ არჩეულ კაცთა, გარდა მიწის ბაჟის გაწერისა, აგრეთვე მინდობილი ჰქონდათ დეპუტატთა საკრებულოს შესანახი ხარჯის გაწერაც. ბევრის ლაპარაკისა და ბაასის შემდეგ ეს ორი გადასახადი ასე იქმნა განაწილებული მაზრათა შორის:

	მან.	კაპ.
ქუთაისის მაზრას ჰხვდა.	10,250	„
შორაპნისას	10,250	„
რაჭისას	4,200	„
ლეჩხუმისას სვანეთითურთ	5,200	„
ოზურგეთისას. . . .	7,000	„
ზუგდიდისას	9,200	„
სენაკისას	9,200	„
სოხუმის ოლქს . . .	4,912	50

ამ სახით მთელს გუბერნიაზე გაწერილ იქმნა 60,212 მ. 50 კ. აქედგან 53,989 მ. და 86 კ. მიწის ბაჟია, ხოლო 6,222 მ. და 64 კ. დეპუტატთა საკრებულოს უნდა მიეცეს ხარჯად. ამას შემდეგ თითო მაზრამ ხვედრი ბაჟი თავთავის მემამულეთა შორის უნდა გაანაწილოს ადგილ-მამულის რაოდენობისა და შემოსავალის კვალობაზე.

მეტი არ იქნება აქვე შევნიშნოთ, რომ მიწის ბაჟის გაწერა ქუთაისის გუბერნიაში ფრიად საძნელო საქმეა; ამისი თავი და თავი მიზეზი ის არის, რომ მთელს გუბერნიაში აქა-იქ თუა ადგილ-მამული გამიჯნული, თორემ უფროს ერთმა მებატონემ დაბეჯითებით არც-კი იცის, რის პატრონია. შემოსავლის რაოდენობას რაც შეეხება, ამაზე ხომ არავითარი ნამდვილი ცნობა არ მოიპოვება, ასე რომ, როცა ჩვენში მიწის ბაჟის გაწერაზე მიდგება საქმე, ჩვენს თავად-აზნაურობას ხელ-ჩასაჭიდებელი საბუთი არა აქვს ხოლმე. მართალია, დეპუტატთა საკრებულოს აღრიცხული აქვს სათავად-აზნაურო ადგილ-მამული, მაგრამ ამ აღრიცხვისა არავისა სჯერა-რა. საქმეც ის არის, რომ მთავრობამ მიწის ბაჟის შემოღებამდე შეკრიბა თავად-აზნაურთაგან ცნობა ადგილ მამულის რაოდენობის შესახებ, მაგრამ მაშინ ნამდვილს ვინ უჩვენებდა, როცა თვით თავად-აზნაურებმა დღესაც არ იციან დაბეჯითებით, რის პატრონნი არიან. აი, ეს ცნობებიც ჯერ თავად-აზნაურობისაგან ნაჩვენები და შემდეგ მთავრობისაგან შემოწმებული:

	დესეტინა
ქუთ. მაზრაში ითლება	72,157
შორაპნისაში	119,474
რაჭისაში.	35,460
ოზურგეთისაში. . . .	87,539
ლეჩხუმისაში სვანეთითურ.	189,365
ზუგდიდისაში	97,992
სენაკისაში	73,019
სოხუმის ოლქში . . .	98,250
სულ.	773,256

დღეს თვით თავად-აზნაურნი ამბობენ, ეგ ცნობა სწორე არ არისო, და მართალსაც ამბობენ. მაგალითად, ლეჩხუმის მაზრაში და სვანეთის საბოქაულოში ერთად ნაჩვენებია 189,365 დეს. სათავად-აზნაურო ადგილ-მამული მაშინ, როდესაც სივრცით, საზოგადოდ მკვიდრთა და კერძოდ თავად-აზნაურთა რაოდენობით და მამულის შემოსავლიანობით სხვა მაზრებზე ბევრად უფრო ნაკლებია, ხოლო სათავად-აზნაურო ადგილ-მამული-კი ქუთაისის მაზრისა და შორაპნისაზე ბევრად მომეტებული უწერიათ.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ მიწის ბაჟთან ერთად თავად-აზნაურობას 6,222 მ. 64 კ. დეპუტატთა საკრებულოს ხარჯის ფულად გააწერესო. სიტყვამ მოიტანა და ამ საკრებულოზედაც გვინდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სრულად და უნაკლულოდ არასოდეს არ იხდის საკრებულოს ხარჯის ფულს. ორი-სამი წელიწადი ისე გადის, რომ ფული არ შემოუტანია და იმის მაგიერად, რომ თავისი მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულოს, თითქმის ყოველს წელიწადს ბანკის წევრთა საზოგადო კრებას ემუდარება, ამდენი და ამდენი ფული მოგვეცით სესხადაო. ბანკის წევრთა კრებამ წელსაც დაუნიშნა სესხი მომავალ მოგებიდგან, მაგრამ ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ არ შეიწყნარეს ეს გადაწყვეტილება, რადგანაც ვინ იცის, ამ წლის შემოსავალი რამდენი იქნებაო. ამიტომაც ეს რამდენიმე თვეა, რომ დეპუტატთა საკრებულოს მოხელეთა ჯამაგირი არ აუღიათ. სხვა რომ არა იყოს-რა, ამ მოხელეთა სიბრალულმა მაინც უნდა აიძულოს თავად-აზნაურობაც და თავთავისს დროზე გადასახადი შემოატანინოს, ეხლა მით უფრო, რომ როცა დეპუტატთა საკრებულოს, რაკი სამეგრელოს თავად-აზნაურთა უფლებათა გარჩევა დაიწყება, დიდი შრომა და ხარჯა მოელის.

როცა რაიმე საზოგადო საჭიროებისათვის ხარჯის გაღებაზე მიდგება საქმე, ჩვენი თავად-აზნაურობა, ჩვეულებისამებრ, გოდებას ჰმართავს ხოლმე, ღარიბნი და ღატაკნი ვართო და სხვ. და სხვ. მართალია, ღარიბნიცა ვართ, ღატაკნიც და დავრდომილნიც, მაგრამ არც ისე დაკარგულნი ვართ, რომ ექვსმა, შვიდმა და რვა ათასმა კომლმა კაცმა სამი და ოთხი ათასი მანეთი ვერ გადავიხადოთ წლიურად დეპუტატთა საკრებულოს შესანახად. როცა მოვალეობას

ლონისძიება დარჩენილიყო. გრაფმა ნება აიღო და ჯარის-კაცმა მორენმა პარიჟში წამოსვლა შეიძლო.

ფრონზაკმა მაინც თავი არ დაანება თავისს განზრახვას და ვერსალში დაბრუნდა, რომ ამ საქმის შესახებ თავისს მოურავთან მოელაპარაკნა. ურბენმა ძალის მოხმარება ურჩია.

ფრონზაკმა ბევრჯელ დააპირა მარიანას მოტაცება, მაგრამ აღსრულებაში ვერ მოჰყავდა თავისი დაპირება, რადგანაც მოხუცებული დიუვალი ერთგულად ჰდარაჯობდა ქალს. ხილიაირი განათავისუფლეს და ანატოლ მორენიც ჯარიდგან დაბრუნდა. ესენი უფრო ერთგულად ჰდარაჯობდნენ მარიანას და მაშინ უფრო დაირღვა ჰერცოგის მოქმედება.

ბოლოს ფრონზაკმა ძალის მოხმარება გადასწყვიტა. გამოიყოლა თან მოურავი, ექვსი მოსამსახურე და უბძანა, რომ ცეცხლი მოეკიდებინათ დიუვალის სახლისათვის.

რადგანაც ბლომად იყო დამზადებული კანაფი, სელის ნაწეწი და სხვა მასალა, ცეცხლმა უხვად იშოვნა საჭმელი და საშინლად გავრცელდა.

ამ არეულობის დროს ჰერცოგის მოსამსახურეებს თვალი ეჭირათ ახალგაზდა ქალზედ, ხელი ჩაავლეს, ეტლისაკენ გაიტაცეს და წაიყვანეს დიურულ'ში, სადაც ფრონზაკის ერთი სახლთაგანი იყო.

მარიანას მოტაცება შეუნიუნავად არ დარჩა. ხილიაირმა და მორენმა იმავე ჟამს აიღეს იარაღი და უკან გამოუდგნენ.

ფორშტად დიუ-რულში ისინი კარებ-ლიას სახლში შეცვივდნენ და ერთს ოთახში ჰნახეს ჰერცოგი და იქავე გულ-წასული მარიანა.

— მომეცი ჩემი დანიშნული! ჰყვიროდა გაცოფებული მორენი.

— აქეთ გამოდი, მარიანა! საცოდავად წიოდა ხილიაირი.

მარიანას ჰსურდა, თავის გამომხსნელებისაკენ გადასვლა, მაგრამ ჰერცოგმა ხელი ჰკრა და ისევ უკან დააბრუნა.

— ნუ იჭერთ, გამოუშვით, ჰყვიროდნენ ყმაწვილი კაცები.

— არაო! სთქვა ჰერცოგმა: ძალით შემოსცვივდით ჩემს სახლში და კიდეც მემუქრებით?

ამ ალიაქოთის დროს დარბაზში შემოცვივდნენ რევოლვერებით ექვსნი მოსამსახურენი, რომლებსაც ფრონზაკმა იარაღის მოხმარება უბრძანა.

— ესროლეთ ამ დაწყევლილს ავაზაკებს!

— რისთვის უნდა დაგვხოცოთ? მოგვეცით მარიანა, ჩვენო დამღუპავებო! სთქვა ხილიაირმა.

ჰერცოგმა კიდევ უბრძანა, რევოლვერები დაეცალათ.

ამ დროს მარიანა ჰერცოგს ხელიდგან გამოუსხლტა და ძმასთან გადვიდა.

მოსამსახურეებმა ექვსივე რევოლვერი ესროლეს, ხილიაირი წაიქცა და იქვე სული განუტევა. მორენი მძიმედ დასჭრეს. ახალგაზდა ქალიც არ გადურჩათ, შიგ გულში მოხვდა ტყვია და მშვენიერი მარიანას გვამი უძრავად ეგდო იატაკზედ.

— ამ დროს ურბენი შემოვიდა და სთქვა:

— ეს ცუდი ხუმბრობააო!

— მაშ რა მექნა, სთქვა ჰერცოგმა: მაშ თავი არ უნდა დამეხსნა ამ ავაზაკებისაგან. მე დამნაშავე არა ვარ, არა ვარ გასამტყუნარი, მხოლოდ დიდად-კი ვსწუხვარ რომ მარიანაც მოკლეს.

ჰერცოგმა იცოდა, რომ იმის ბოროტ-მოქმედების გამო დიდად აღელვდებოდა ხალხი და საჩქაროდ წავიდა ვერსალში.

ცეცხლის მოკიდებამ, რომელმაც საზარელად აოხრა იქაურობა, მართლაც რომ დიდი ყაყანი და შფოთი მოახდინა არამც თუ პარიჟში, არამედ მთელს საფრანგეთში.

წარჩინებულმა კაცებმა ხელმწიფესთან იჩივლეს. რიშელიემ იგრძნო, თუ რა უბედურება ხდებოდა და ჰსურდა, მშვიდობიანად მორიგებულიყო დიუვალთან, მაგრამ გამწარებული მოხუცებული არ მოურიგდა.

რაც ზარალი შეემთხვა, დიუვალმა სამართლის გადაწყვეტილობით 120 ლივრი მიიღო. მაგრამ სამუდამოდ დაკარგა ახალგაზდა ვაჟი ხილიაირი და მშვენიერი ქალი მარიანა. ამ უბედურებას ცოლმაც ველარ გაუძლო და ისიც შვილებს თან გადაჰყვა.

სახლის დაწვის შემდეგ დიუვალს ცოტა კანაფის ნაძენძი გადურჩა. ჯავრისაგან თმა სრულიად გაუთეთრდა, სევდიანმა აიღო კანაფის ნაძენძი და წავიდა თავის ამხანაგებთან, რომ იმისს იარაღზედ თოკი დაეგრიხნა.

ამხანაგს შეატყობინა თავისი თხოვნა და იმან ჰკითხა:

— რად გინდა თოკი? მე ბევრი მაქვს შემზადებული და რომელიც გინდა, ამოირჩიეო".

— არა! მიუგო მოხუცებულმა დიუვალმა მწუხარე ღიმილით: მე შენის საქონლით ვერ ვისარგებლებ, ჩემო ნათლიავ: მსურს ჩემი ხელით დავგრიხო თოკი და გთხოვ მოუშვი ჩარხის თვალი.

— დიდის სიამოვნებით აგისრულებ მაგ თხოვნას, მაგრამ მაინც უნდა მითხრა, რისთვის დაგჭირდა თოკი?

— მე არავის არ ვეტყვი, რისთვისაც მინდა; ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

— ჰმ! როგორ არის ეხლა ანატოლ მორენი? ჰკითხა ამხანაგმა.

— ექიმები ამბობენ, რომ შიში აღარაფრისა აქვს, მალე მორჩებაო.

ჩვეულის ხელით დიუვალმა საჩქაროდ დაჰგრიხა ათ ადლიანი ვიწრო თოკი, ლამაზად დაიხვია და დაჰმალა.

ეს მოხუცებული და დარდისა და ჯავრისაგან გათეთრებული ხელოსანი ეხლა მხოლოდ იმისთვის-ღა იყო პარიჟში, რომ თავის სასიძოს მორჩენას ელოდებოდა.

III

ზემო აღწერილ უბედურების შემ-

ვერსად წაუვალთ ხოლმე და როცა დარწმუნებულნი ვართ, რომ ვალს არავინ შეგვაწევს, მაშინ ხომ სიღარიბეზე არაფერს ვლაპარაკობთ; იქ-კი, საცა თავის დაძვრენა შეგვიძლიან და საცა შესაძლოა ჩვენი ვალი და მოვალეობა სხვას მოვახვიოთ თავზე, იქ ღარიბნიც ვართ და ყოველივე სიგლახეც გვჭირს. ოღონდ ის აზრი გვქონდეს შეზრდილი და შეთვისებული, რომ მოვალეობას შესრულება უნდა და ვალს გადახდა და დეპუტატთა საკრებულოს გაძღოლა ამდენს თავად-აზნაურობას ბევრად არაფრად გაუჭირდებოდა. დღეს-კი საკრებულოს მოსამსახურეთ ლამის არის სიმშილისაგან კუჭი გაუხმეთ.

ა. ნა—ლი

◆ ◆

ზემო იმერეთსა და რაჭაში მოგზაურობა

(შემდეგი, იხ. „ივერია“ № 215)

წავიყვანეთ მისი შვილი. ამ სოფლიდან ხუთი ვერსი რომ გავიარეთ, ერთს ისეთს ალაგას მივედით, სადაც მარცხნივ მხარეს საშინელი ხევია. გაჭრილი კლდე დაგვხვდა, როგორც ალაყაფის კარები. მითხრეს, აი ეს არის კლდე-ხეთქილაო, იმ კლდის კუნჭული, სადაც თამარ დედოფლის ეკლესია იმყოფებაო. რო გადახედავთ იმ საშინელს და თვალ-ჩაუწდომელს ხევს, საიდანაც ამოჩამს უშველებელი სოფლები ბუზის ტოლად, ვერ იფიქრებთ, თუ იქ ჩასვლა შეიძლება. მიამბეს, პირველად რომ მეფეს გადუხედნია აქედან, მაშინ უბძანებია, რა ჭააო და მას უკან დაერქვა რაჭას ეს სახელიო. გადავუხვიეთ და ერთი ვერსი კიდევ ცხენით ვიარეთ და ნახევარ ვერსიც ქვეითი, რადგანაც კლდეებია და უნდა ფოფხით მიხვიდეთ კიბის ძირს, რაიცა უფრო საშიშოა, ვიდრე თვით კიბეზედ ასვლა. ვინც მამდევდა, იმათგანი ზოგიერთი შეშინდა, იქვე ჩაიჩოქა და ვეღარ შესძლო შიშისაგან სიარული. ზედ კლდეზედ ბილიკია გატანილი. მაღლა შეიხედავთ, თვალ-აუწდომელი კლდეა, ძირს დაიხედავთ, უარესია.

ამ კლდის სიგძე იქნება ოთხი ვერსი და იქ, სადაც ეკლესიაა, წინ წამოწეულია ოცის საჟენის სიგანეზედ და კიდევ ზემოდგან გადმოფარებულივით აქვს საჟენ-ნახევარის ტოლა, ასე რომ რაც უნდა ავდარი მოვიდეს, ამ ეკლესიას არ მოხვდება... ამ კლდის შუაგულში, აღმოსავლეთითა და დასავლეთით არის დიდროვანი გამოქვაბულები და ამათ შუა ქვიტკირით ნაშენებია, რომელსაც აღმოსავლეთით კარები აბია და ზედ კლიტე ადევს. არავის ახსოვს, მაგრამ ამ კარებიდან აღმოსავლეთის მხრივ, გამოქვაბულისკენ, ბალკონი ჰქონია სასიარულოდ. ეხლა მხოლოდ ერთი კოჭია კლდეში და ზედ გძელი ხე გადებული. ხე, გეგონებათ, ეს არის ეხლა დაუდვიათო, ისეთი ახალი სჩანს. ამ ეკლესიის კედელს ექმნება სამი საჟენი სიგძე და საჟენ ნახევარი სიმაღლე; თავი სწორე აქვს და არ ეტყობა, თუ ეკლესიაა. შუაში პატარა ფანჯარა აქვს. აი ამის პირდაპირ ძირიდან ატანილია ხის კიბე თუთხმეტის საჟენის სიმაღლეზედ ოცდა თორმეტი ფეხი—ოცდა ცხრა ფეხი ზედ დამაგრებულია და სამიც მზად გაკეთებული აქვს კიბის პატრონს სახლში. როდესაც ნებას მისცემენ ასვლისასა, იმწამსვე მიადგამს და ავა. ამას ქვემოდ კიდევ პატარა ორი გამოქვაბულია, ეტყობა ბერებს უცხოვრიათ. სწორედ გასაკვირველია, ასე მაგრად და ასე პირდაპირ როგორ აიყვანა კიბე. თითეულს საფეხურზედ რომ ახვალთ, ასე გეგონებათ, თითქოს სავარძელში ვზივარო, ძალათი თუ ამოხტებით, თორემ ვერსაიდან ვერ გადმოვარდებით. ძირიდგან თავამდე თითო არშინის სიმაღლე ოცდა თორმეტს ადგილას აქეთ იქით ყირაზედ დარჭობილი პალოები სხედს, იმათ ძირში კლდის სწორეზე ხე აქვს დაკრული, ზემოდან ხარიხები აქვს გაკეთებული და თითეულს პალოს განიერი ფიცრები აქვს ჩამოკონწიალებული, ასე რომ იმ ფიცრის ქვეშ უნდა აძვრეთ. რომ აძვრებით, ის ფიცარი აიმართება და ვინიცობაა უკან გადმოიწიოთ, ზურგი ზედ მიეყუდება. ამნაირად ადიხართ და იმნაირადვე უნდა ჩამოხვიდეთ, სულ კლდეს უნდა უცქიროთ. ეხლა-კი კიბე კლიტით არის დაკეტილი. გასაკვირველი ეს არის, ერთი ლურსმანი არ არის ნახმარი და მისი იარაღი ყოფილა ერთი ცული და ერთი არშინის სიგძე რკინის კეტი, ძველათ არსაიდან ეტყობა გზა. სადაც კიბეა გაკეთებული, იქვე დიდი კლდეა ჩამონგრეული. იქმნება ამ კლდის ჩამონგრევის დროს ჩამოინგრა გზაც, მხოლოდ როცა ეს კიბე გაუთავებია, ეკლესიიდან ჩამოკიდული კიბე საჟენ ნახევრიანი ძველი, ჩამოუღია და ძირს აწყვია დაშლილი. ეს ძველი კიბე ისეთია, გეგონებათ, სულ ახალი გაკეთებული არისო.

ასვლას რომ მოვრჩით, ჩამოსვლა უფრო გაგვიჭირდა. როგორც იყო ჩამოვედით, მივედით მისს სოფელში ბოყვაში, რომელიც იქმნება კლდიდან ოთხს ვერსზედ. ხსენებული გლეხი პეტრე ხეთისიას ძე უმანიძე 34 წლისაა, სახე ჭკვიანი აქვს, შავთვალ წარბაა. პირველი ცოლი სამი წელიწადი ჰყოლია, შემდეგ დაქვრივებულა და ერთად ერთი ქალი მოჰკდომია. შეურთამს მეორე ცოლი, რვა წელიწადია ჰყავსო. ამასთან სამი შვილი ჰყოლია. ერთი ქალიშვილი შვიდის წლისაა, ორი ვაჟია—ერთი ხუთის წლისა და მეორე ორისა. უკანასკნელ ომის დროს ორი წელიწადი ყოფილა დრუჟინაში, ცოტა ხანს ქალაქშიაც უცხოვრია ძმასთან, რომელიც მზარეულია. სხვა დრო სახლში გაუტარებია. არაფერი ხელობა არა იცის-რა, გარდა იმერულის ურმის კეთებისა. 1889 წელსა უნახავს სიზმარი, კიბის კეთება დაუწყვია 1890 წელს მკათათვის 1-ს და გაუთავებია 1891 წელს, მკათათვეში.

ახლა მოგახსენებთ მისს სიზმრებს სიტყვა სიტყვამდე, იმის მიერ ნათქვამს. ამის სახლიდამ სამასს საჟენზედ სდგას ამ სოფლის ღვთის მშობლის ეკლესია.

პირველი სიზმარი: ამ ეკლესიიდან გამოვიდა ორი სუფთად ჩაცმული ყმაწვილი და წამოვიდნენ ჩემკენ. რომ მოვიდნენ, მითხრეს, გეყოფა სიდაბლეო, რაც აქნამდე იყავი, ახლა უნდა აგამაღლოთ და წამოგვყევი, სადაც ჩვენ წავალთო. წამიყვანეს და იმ კლდის ძირში მიმიყვანეს, თითონ დაიწყეს თითების ქნევა და თითქმის აფრინდნენო, ისე ავიდნენ მაღლა. პატარა ხანს უკან, გამოვიდნენ, დამიძახეს, აქ ამოდიო. აბა რითი ამოვიდე, თქვენც ძლივს ახვედით მეთქი. მანდერ ჯიბეში ხელი ჩაიყავ, რკინის კეტი გაქვსო, ამოიღე, კლდეში შაურჭე, მარჯვენა ფეხი დაადგი და ამოხვალო. ამაზე მე ვუპასუხე, არაფერი რკინის კეტი არა მაქვს-რა, ჩიბუხის ტარის მეტი ჯიბეში. როგორ არ გიძევს, აბა ჩაიყავი ხელიო. მართლა, რომ ჩავიყავი, დამხვდა ნახევარ არშინის სიგრძე რკინის კეტი. საშინლად შემრცხვა და მიკვირდა, საიდან გაჩნდა მეთქი. მოვკიდე ხელი და, როგორც მითხრეს, იმ ალაგას დავკარ, სადაც ეხლა კიბე სდგას ორჯელ, და არ გამაგრდა. მესამედ რომ დავკარი, გაიჭედა. დავადგი მარჯვენა ფეხი და შევდეგი. იმათაც ხელი მამაშველეს და ისე ამაფრინეს, როგორც ჩალა. ერთი გარედ დარჩა და მეორე შინ შემომყვა. რომ შევედი, ჭრელს ხალიჩაზედ ეყარა რაღაცა ყვითელი, წითელი, მწვანე, ვერ ვიცანი-კი, რა იყო. გაკვირვებით დავცქეროდი, მითხრა, რას დაცქერიხარ, თუ რომ ეს სიმდიდრე არ გეყოფაო, აგერ კიდევ მეორე ოთახი სავსეა, სულ შენიაო და სამუდამოდ აშენდებიო. აიღო ბოხჩა, მეც და თითონაც დავუწყეთ ჩაწყობა. რამდენიც გინდა, ჩაალაგეო. რომ ჩავალაგე და უნდა წამოვგველო, იმ დროს გარედგან დაიყვირეს, რა იქენითო, დროზედ გამოდითო. ამ დაყვირებაზედ უცებ გამომეღვიძა, ვნახე, რომ სიზმარში ვიყავ, პირჯვარი გადვიწერე და ყური არ ვათხოვე. შემდეგ ერთის თვისა კიდევ მესიზმრა.

ნ. დიასამიძე

(დასასრული იქნება)

◆ ◆

უცხოეთი

პარნელი

ამ ბოლო დროს ზედი-ზედ გარდაიცვალა რამდენიმე შესანიშნავი კაცი, რომელთაც პირველში დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი თავისის საზოგადო სარბიელზე მოქმედებითა და ღვაწლით და შემდეგ კი სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო მნიშვნელობა დაეკარგათ და დაიჩრდილდნენ. გარდაიცვალა გრევი, ბალმასედა, ბულანჟე და ეხლაც კიდევ პარნელი. ჯერ-ჯერობით დაწვრილებით ამბავი არა მოსულა-რა ამ კაცის სიკვდილისშესახებ. დეპეშით მხოლოდ ის გვაუწყეს, რომ ხუთი დღე იყო ავად, გარდაიცვალა, ირლანდიაში დაასაფლავებენ და დასაფლავებას დუბლინის საქალაქო თვითმმართველობის წევრნი დაესწრებიანო. აქედამ ცხადად სჩანს, რომ ირლანდიას განუზრახავს, დაიწყებას მისცეს პარნელის უკანასკნელი უსიამოვნო ამბავი და ღირსეულის პატივისცემით დაასაფლავოს ის კაცი, რომელსაც ამ უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში „გვირგვინ უკურთხებელს მეფეს“ ეძახდნენ თავის ქვეყნისას. ასეთის მამულ-მოყვარულობის გრძნობით იხსენიებენ დასაფლავების დროს პარნელსა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო თავისს სამშობლოს, მაგრამ შეიძლება, ამავე დროს ირლანდიელთ სასიამოვნოდაც მიაჩნიათ ეს ამბავი, რადგან ამ სახით მოისპო, განქრა ის ძალა, რომელსაც შეეძლო წინ გადასდგომოდა და ხელი შეეშალა ირლანდიის საქმის დამთავრებისა და გამარჯვებისათვის. კითხი არ უნდა, ამავე აზრისა უნდა იყოს ინგლისის ლიბერალთა დასიც გლადსტონითურთ. პარნელმა, მართალია, ბოლო დროს დიქტატორობა დაჰკარგა ირლანდიისა, აღარც პარლამენტის დასზე ჰქონდა გავლენა, მაგრამ შეეძლო-კი, თუ სიკეთე არა, ბევრი ნავნები მაინც ექმნა, და ამის გამო ვამბობთ, რომ მისმა სიკვდილმა დიდი უხერხულობა მოაშორა ლიბერალებს თავიდგან და შეაძლებინა კვლავ დაკავშირება და დაახლოვება არა თუ პარლამენტის ნაციონალისტებთან, არამედ ირლანდიის მთელს ერთანაც. ამის გამო პარნელის სიკვდილი უკანასკნელ დიდ ღვაწლად და სამსახურად უნდა ჩაითვალოს მის მიერ სამშობლოს წინაშე. თავის ძლიერებისა და სახელ-განთქმულობის დროს რომ მო-

---

დეგ თითქმის მთელმა წელიწადმა გაიარა.

ფრონზაკი თავისს მამულში იყო, ბერრში, ბურჟუას ახლო.

სექტემბერი იყო და შემოდგომამ თავისი ნიშანი ხეხილების ფოთლებსა და ბუჩქებსაც დატყო.

ერთს მშვენიერს ღამეს ორი კაცი სიფრთხილით მიდიოდნენ ტყით, რომელიც ჰერცოგის მამულს ორადა ჰყოფდა.

ერთი მათგანი მოხუცებული იყო და სრულიად გათეთრებული, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, კიდევ გული, მაჯა და მკლავი მოსდევდა. მეორე-კი ახალგაზდა იყო და შეხედულობაზე ეტყობოდა, რომ სამხედრო სამსახურში ნამყოფი უნდა ყოფილიყო.

ისინი ტყის გარდი-გარდმო მიდიოდნენ და არ დაუსვენიათ, ვიდრე ვიწრო ბილიკს არ მიადგნენ. მთვარე მაღლიდგან დასცქეროდა ტყეს და იქაურობა გაეკაშკაშებინა.

როდესაც დადგნენ ბილიკზედ, უმცროსმა იკითხა:

— ეს ის ბილიკია, რომელზედაც უნდა მოვიცადოთ?

— დიაღ! სწორედ ის ბილიკიაო, მიუგო მოხუცებულმა: ბევრნაირი წვალება გამოვიარე, ბევრი ცბიერება ვიხმარე, მანამ ამ გზას შევიტყობდი. იმედი მაქვს, რომ ჩვენი შრომა მალე უნდა დაჯილდოვდეს. ნახევარს წელიწადზედ მეტია, რაც ამისთანა ბედნიერს შემთხვევას ვეძებდით.

— აი ეხლა დადგა ის დრო, როდესაც მაგიერი ბოროტი უნდა გადავუხადო ჩემის შვილების დამხოცავს.

— ხომ არ დაგავიწყდა, თოკი წამოიღე, თუ არა?

— როგორ დამავიწყდებოდა, აი, აქა მაქვს...

— ჩემო მამავ დიუვალ! ნამდვილად-კი იცი, რომ შუაღამისას გამოივლის ამ ბილიკზედ?

— ნამდვილად, ეჭვიც არა მაქვს!

— ისეთი რა საქმე ექნება, რისთვის წამოვა შუაღამისასაო? ჰკითხა ახალგაზდამ.

— ალბად ვისიმე ნახვა უნდა; პირობა ექნება მიცემული; ის ამისთანა საქმეებისა დიდი მოყვარულია.

— მამავ! დარწმუნებული ხარ მერე, რომ ის მარტო იქნება?

— დამარწმუნეს, რომ ამ ბილიკზედ მარტო გამოივლის და წავა აგე, იმ ვილლაში, რომელიც ტყის პირას სდგასო.

— არ დაივიწყო, შვილო, ჩვენი პირობა. მე გლახად ვეჩვენები; კოჭლობით გადავუდგები გზაზედ და ლაპარაკს დავუწყებ. შენ ამ დროს ხელი სტაცე და წააქციე მიწაზედ.

— დარწმუნებული იყავ, საყვარელო მამავ, რომ მარდად დავბღუჯავ ჩვენს დამღუპავს, მარიანას და ხილიაირის მკვლელს.

— შვილო მორენ! აღმოსთქვა თვალ-ცრემლიანმა მოხუცმა: თუ მაგიერი გადავუხადეთ, ჩვენს სამშობლოს უნდა განვშორდეთ. ორი ბაშფორთი მაქვს მზადა, ორივე დიდი ფული დამიჯდა. დიდის მწუხარებით ვშორდები სამშობლოს ამ მოხუცების დროს, მაგრამ რა ვქნა... შენ-კი საყვარელო ანატოლ, იქნება კიდევ როდისმე დაჰბრუნდე და ნახო შენი სამშობლო საფრანგეთი, ჯერ ახალგაზდა ხარ. მე-კი, როგორც მხედავ, დარდმა უფრო გამათეთრა, მოხუცებული ვარ და ვინ იცის, სად ჩავყრი ჩემს ძვლებს.

ამ ლაპარაკის დროს გამოჩნდა ვიღაც ტანადის კაცის ჩრდილი, რომელიც გძელს წამოსასხამში იყო გახვეული და ფეხ-აკრეფით მოდიოდა ბილიკზედ.

რაწამს თვალი შეასწრო, წამოხტა დაუვალი, მძიმე კოჭლობით გზაზედ გადუდგა და დაიძახა:

— მოწყალება უბოძეთ, ბატონო, საწყალს კაცს. ყოველის მხრით ნუგეში დავკარგე მოხუცების დროს და არავინ არა მყავს გულის შემატკივარი.

— დაიკარგე აქედამ! სასტიკად წასჭყივლა ჰერცოგმა: როგორ მიბედავ, რომ უდროოდ გზაზედ შესდგები და მოწყალეობას ითხოვ?!

— შემიბრალე, ბატონო! უბედური ვარ. სახლი გადამიწვეს, ქალ-ვაჟი ერთმა ბოროტმა კაცმა დამიხოცა! იმათმა დარდმა ცოლიც გადიტანა და მე-ღა დავრჩი, ამ ქვეყნად ობლად.

— ააა! მაშ მიცნობო, დაუყვირა წამოსასხამ-წამოსხმულმა და უკან დაიწია.

— ძალიან კარგად გიცნობ! თქვენა ხართ დიდის მარშლის შვილი, დე-ფრონზაკი; მე-თოკის დამგრეხი დიუვალი, რომელსაც სახლი დაუწვით და შვილები დაუხოცეთ.

— რა გინდა ეხლა ჩემგან?

— შენი სიცოცხლე, ეხლა არაფერიო! ამაყად მიუგო მოხუცმა.

ამ დროს ანატოლი ბილიკიდგან გადმოხტა, ხელი ჩაავლო მაგრად ჰერცოგს, წააქცია და გათოკა.

გათოკილი ჰერცოგი ხტუნავდა, დედამიწას აწყდებოდა, ჰკვნესოდა და შებრალებას ითხოვდა.

— არა! შენ ღირსი არა ხარ შებრალებისა, ჰყვიროდა გაცოფებული დიუვალი: ანატოლ! თოკის წვერი გადააგდე ტოტზედ!

ორივემ სწრაფად დასწიეს ძველ მუხის ტოტზედ გადაგდებულს თოკს და ხელად მომზადებულს სახრჩობელაზედ ტრიალი დაიწყო ფრონზაკმა. რამდენსამე წუთს შემდეგ სულიც განუტევა.

— ეხლა-კი ჩვენი ვალი ავასრულეთ! სთქვა ბაგირთ-მგრეხელმა: გზა ვიცი და წამო, წავიდეთ, ანატოლ!

ორივენი დაფიქრებულნი გაუდგნენ გზას და ტყეს შეეფარნენ.

* * *

მხოლოდ ორის დღის შემდეგ იპოვნეს ჩამორჩობილი გვამი ჰერცოგისა და საგვარეულო საფლავში დაჰმარხეს. ყოველ ნაირი ღონე იხმარეს ბოროტ-მოქმედთა კვალის აღმოსაჩენად, მაგრამ ამაოდ ჩაიარა იმათმა შრომამა და ცდამ. ბაგირთ-მგრეხელი და ჯარის-კაცი მორენი სამუდამოდ გადაიკარგნენ სადღაც.

ვ. მ—შვილი.

მკვდარიყო პარნელი, მაშინ ეს ამბავი სამწუხარო და სამგლოვიარო ამბავი იქნებოდა ირლანდიის ერისათვის, ეხლა-კი მხოლოდ ხელი შეუწყო ირლანდიასა და მისს მომხრე გლადსტონს და გაჭირვებიდგან დაიხსნა.

კითხვა არ უნდა, დიდად სავალალოა იმ ერის ბედ-იღბალი, რომლისათვისაც პარნელისთანა კაცის სიკვდილი სასიხარულოა, მაგრამ ირლანდია ნაჩვევია ამ გვარს ამბებს. პარნელი ამ ასის წლის განმავლობაში რიგით მესამეა იმ ტრიბუნთა შორის, რომელთაც სახელი გაითქვეს, ქება-დიდებით შეიმოსნენ და ბოლოს-კი მწუხარებაში დალიეს დღენი. პარნელის წინად გრატონი და ოკონელი იყვნენ სამშობლოს სათაყვანებელნი, ისინი აფრიალებდნენ დროშას, ერს გამარჯვებას უქადდენ, მაგრამ ორნივე თანამემამულეთა მიერ სრულიად დავიწყებულნი და მოუხსენებელნი დაიხოცნენ. პარნელი იმათ არა ჰგავდა. ისინი გატაცებული, გრძნობა მორეული, მებრძოლნი იყვნენ სამშობლოსათვის, ენა-მჭევრობით მეტყველნი და მქადაგებელნი მაღალ აზრთა; პარნელი-კი მხნე, შეუპოვარი, დინჯი მშრომელ-მომქმედი იყო, მაგრამ ერთხელვე უკუღმართად დატრიალებულმა და გადამტერებულმა ბედმა ირლანდიისამ ამასაც ბოლო მოუღო. ხოლო სიკვდილი პარნელისა ერისთვის იგივე არ არის, რაც იყო სიკვდილი გრატონისა და ოკონელისა: იმათ შემდეგ ირლანდიის სასოება წარეკვეთა, იმედები მიეხადა, ხოლო პარნელს შემდეგ-კი ეს არ დამართვიათ: გლადსტონი ხელში შერჩათ და იმისგან მოელიან თავის იმედის განხორციელებას, რომელიც „გვირგვინ უკურთხებელმა მეფემ“ დაუმკვიდრა, თუმცა მისი საქმედ ქცევა-კი ველარ მოასწრო.

(დასასრული იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ და „წიგნების გამომცემთა ამხანაგობას“ ტფილისში.

„წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ჩემის თხოვნისამებრ უსასყიდლოდ გამოუგზავნა ს. ხიდისთავის სკოლას საკლასო დაფა, სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები; „წიგნების გამომცემელთა ამხანაგობამ“ უსასყიდლოდვე გამოუგზავნა ყველა თავის გამოცემანი და ამ ბოლოს დროს სამი ტომი ყაზბეგის თხზულებისაც.

მით უფრო დიდს მადლობას ვუძღვნი იმავე საზოგადოებას, რომ ს. ხიდისთავის სკოლის ბედ-იღბალი ჯერაც არ გადაწყვეტილა: შეიძლება აქაურმა საზოგადოებამ, საკმარისად მდიდარმა, სასკოლო ფულის გამოღება გაბედოს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ს. ხიდისთავის სკოლა ამ ცოტა ხანში უსაღსრობის გამო სრულიადაც დაიკეტოს.

ელისაბედ ალიბეგოვისა.

ხიდისთავი
6 ოქტომბერს.

დეპეშა

10 ოქტომბერი

პეტერბურგი. პეტერბურგის საბჭომ დაადგინა: 1) ნევაზედ სამუდამო ხიდი გააკეთოს, „ტროიცკის“ ხიდის მაგიერ, და რადგან საცაა 25 წელიწადი შესრულდება, რაც მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ჯვარი დაიწერეს, ალექსანდრე-მარიისი დაარქვას; როცა პეტერბურგში დიბრუნდებიან, მათ უდიდებულესობათ მიულოცონ და ვერცხლის საჩუქარი მიართვან, და 2) 100,000 მან. გადასდოს მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

განზრახვა აქვთ პეტერბურგის საბჭოში წინადადება შეიტანონ, რომ საქალაქო გარდასახადი არ გამოერთვათ იმ მოუსავლობით დაზარალებულთა ადგილების მცხოვრებთ, რომელნიც ამ ჟამად პეტერბურგში სცხოვრობენო.

მოსკოვი. მოსკოვის სავაჭრო საზოგადოებამ 100,000 ფუთი პური შეისყიდა და ყაზანში უგზავნის დამშეულთ.

კოპენჰაგენი. მეფე და მისნი უავგუსტოესნი სტუმარნი დღეს სანადიროდ არიან, ხოლო ხვალ პრინც ვოლდემართან იქნებიან საუზმედ.

შერბურგი. გუშინ რუსეთის აფიცრები თეატრში იყვნენ; ორკესტრმა დაუკრა რუსეთის საერო საგალობელი და მარსელიეზა, რომელიც საზოგადოებამ ფეხ-დგომელამ მოისმინა და დასასრულს შესძახა: „გაუმარჯოს რუსეთს, გაუმარჯოს საფრანგეთსაო!“

ბელგრადი. სერბიის მეფემ რედაქტორ-გამომცემელს გაზ. „Новости“-სას ნატოვიჩს უწყალობა ორდენი „ტაკოვა“-სი, რადგან იგი თანაგრძნობით ეკიდება კერძოდ სერბიის ინტერესებს და საერთოდ სლავიანთა საქმესაო.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოქტომბერი

	მყიდვე-ლისა.	გამყიდ-ველისა.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7, 61	7, 64	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	152½	153	— ,,
ძანეთიანი ვერცხლის ფული	1, 14	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	236	— ,,	— ,,
—მეორისა	219½	— ,,	— ,,
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , ,	210½	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

განცხადებანი

სტამბასა და წიგნთ სავაჭროში
(მიხეილის ქუჩ. მედვედიევის სახლებში)
ისყიდება
ახლად გამოცემული წიგნები

თამარ, სპარსული ლეგენდა, თარგმანი ფრანგულიდან ქართულათ 10 კ.

დემონი, პოემა ლერმონტოვისა თარგ. მამია გურიელისა . . 15 კ.

(3—3)

გამოვიდა მთავრობის მიერ მოწონებული

„ანბანი მშობლიო ენისა“

წერა-კითხვის შესასწავლად პირველ დაწყებითს სკოლებსა და ოჯახებში, შედგენილი ზ. გულისაშვილისაგან, მრავალის სურათებითა და ნახატისა და ნაწერის ნიმუშებით. ისყიდება ამხანაგობის წიგნის მაღაზიასა, გრიქუროვის მაღაზიაში, გორში არსენ კალანდაძესთან და ქუთაისში წერეთლების მაღაზიაში.

ფასი ერთი აბაზი.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

საუნჯე
მეათე საუკუნისა
წერილი
მოსე ჯანაშვილისა
ივანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.
ფასი ერთი აბაზი
(10—0—9)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თაზ. დ—რის ლორენცის.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
„თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე .	1	20
იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი ერთად	7	„
სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , ...	1	20
იგივე ყდით	1	40
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით.	„	80
იგივე მშვენიერის ყდით	1	25
„დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი.	„	15
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. ღნიაშვილის მიერ, .	„	30
იგივე, მშვენიერის ყდით	„	75
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
„მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა	„	20
„წყალობა“, პოემა მისივე	„	20
„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . .	„	30
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . .	„	30
იგივე მშვენიერის ყდით	„	80
მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა	„	40
გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. .	„	30
მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა	„	10
ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა	„	30
ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . .		
სამის თვე გადასახლილი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. .	„	25
ქიტესა—მისივე	„	15
სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა	„	10
ლენტის მსგავსნი ჰეები ი. ო.	„	5
პატიოსანი ადამიანი	„	5
ჟანნა-დარკ	„	5
ბერლინის გარემოცვა.	„	5
„ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა	„	50
„Древнѣйшие предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა.	„	50
„შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა.	„	20
ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა	„	20

Дозв. ценз. Тифлисъ, 10-го Октября 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.